საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დაძმობილება

დაძმობილება, ძმად გაფიცვა, ორ პიროვნებას შორის ძმური კავშირის განმტკიცება ხელოვნური ნათესაობის დამყარებით.

გავრცელებული იყო სხვადასხვა ქვეყნის ხალხებში. გვხვდებოდა ძვ. საქართველოშიც, განსაკუთრებით მთაში. დამოწმებულია დ-ის რამდენიმე წესი: ს ა კ ლ ა ვ ი თ დ. – ძმადგაფიცვის მსურველები რომელიმე დღეობაზე ხატში (სალოცავში) გამოვიდოდნენ ნათესავებთან ერთად, ხევისბერი მათ დალოცავდა და საკლავის სისხლს ორივეს აპკურებდა;

ს ი ს ხ ლ ი ს გ ა ზ ი ა რ ე ბ ი თ დ. – შინ ან რომელიმე სადღესასწაულო შეკრებაზე (ქორწილი, საღვთო) თითებს გაიჭრიდნენ, ჭრილობებს ერთმანეთზე მიადებდნენ; ფ ი ც ვ ე რ ც ხ ლ ი ს ჭ ა მ ი თ დ. _ არყით ან ღვინით სავსე თასებში ვერცხლს ჩაფხეკდნენ, თასებს გაცვლიდნენ და გამოცლიდნენ; ტ ყ ვ ი ე ბ ი ს გ ა ც ვ ლ ი თ დ. – ერთმანეთში ტყვიებს გაცვლიდნენ.

დ-ის ყველა ამ წესის შესრულებისას აუცილებელი იყო ერთგულების ფიცის დადება. აღნიშნული წესები ასახულია მხატვრულ ლიტ-რაშიც (ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა). ქალ-ვაჟს შორის და-ძმად გაფიცვაც სათანადო რიტუალის შესრულებით აღინიშნებოდა. რძით სავსე თასებში ვერცხლს ჩაფხეკდნენ, თასებს გაცვლიდნენ და შესვამდნენ.

და-ძმად უფრო ხშირად დედისერთა ქალები და ვაჟები იფიცებოდნენ.

ლიტ.: ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ., მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში (მოძმეობის ინსტიტუტი), «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1971, № 3; ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., თუშეთი, ტფ., 1933.

ვ. ითონიშვილი